

5609
899.96%1092 [Digitized by ZK]

30 გენერალური

შედგენილობა

F 133
1/4

I.

უკველი ძელი ლიტერატურული ნაწარმოები, მეტადრე იმ დროისა, როდესაც სტამბა არ იყო, დროთა გამავლობაში განიცდიდა სხვა და სხვა გვარს ცვლილებას. იმის მიხედვით, თუ რა გარემოებებში ინახებოდა და გადადიოდა ნაწარმოები ერთის საუკუნითვის მეორეში, იგი იკვლებოდა ლექსიკონის, ტექსტის და შედგენილობის მხრით. მიზეზები და გარემოებანი, რომელიც იწვევდენ რომელსამე ნაწარმოებში ცვლილებას, ბევრნაირი იყო.

ცნობილია, რომ საუკუნოების გამავლობაში ზოგიერთი სიტყვები უხმარებელნი ხდებოდნ და ძველს ნაწერებში ხმარებულნი-გაუგებარნი შეიქნებოდენ ხოლმე მეოთხველისათვის. ამისანაც შემთხვევაში ხშირად მწიგნობრები ასწორებდენ გაუგებარს სიტყვებს და გასწორების დროს ბევრჯერ სრულდებოთ სხვა მნიშვნელობის სიტყვით სცვლილენ. ერთის სიტყვის სხვა სიტყვით შეცვლა გამოიწვევდა ხოლმე წინადაღებაში სხვა სიტყვების შეცვლასაც აზრის დასაცავად.

ხშირად რომელიმე აზრი ან სურათი, ძელის იკტორისგან გამოხატული, შემდევის დროის მწიგნობართ არ ეჩვენებოდა სრულად და დამთავრებულია და ამიტომ ისინი თითონ დამთავრებდენ ხოლმე.

მოხდებოდა ისიც, რომ ამბის მოხსრობაში მწიგნობარნი რომორისავე წვრილმა-

ნის გარემოების დანაკლისს ჰპოვებდენ და ამიტომ ამბის შესასეგბად თითონ სოხხავდენ დაკლებულს გარემოებას და ჩაურითვედენ ძველს თხზულებაში.

ასე იქცევოდენ მწიგნობრები, დარწმუნებულნი, რომ კარგს საქმეს ჩადიოდენ, რაღაც უწინდელს დროში არც იკტორს, არც მკაფელს საზოგადოდ არ ჰქონდა მიჩნეული ხელშეუხებლად ლიტერატურულის საუკირების უფლება. ხშირად თვით იკტორი სწერდა ხოლმე თვის ნაურობის ბოლოს: ეს დამიწერია და, რაზიც შემცდრი ვიყვე, თქვენ გაასწორეთო.

ხანდახან მოხდებოდა ხოლმე, რომ ხელოთნაწერს რომელიმე ალაგი დააკლდებოდა რამე მახჭით. ამ აღილს ფურცლები ან ამოვარდებოდა, ან დაიხვევდა და ან დაიწვებოდა და ამნირად თხზულება ნაჯლიანი შეიქნებოდა. მართალია, ერთს ხელოთნაწერს თუ დააკლდებოდა, მეორე ხელოთნაწერითვან გადაწერით შეასებდენ ხოლმე ნაჯლს, მეტადრე გაშინ, როცა თხზულება ძალიან გავრცელებული იყო, მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა, რომ ნაჯლი შეუსებელი დარჩენილიყო და შემდეგს საუკუნეებს სწორედ ეს ნაჯლული ხელოთნაწერი გადასცემოდა, უნაკლულონი კი მოსპობილიყვნენ. ამ ნაჯლის შეცსებას შემდეგში რომელიმე მწიგნობარი იკავებდა ხოლმე და თვის ფანტაზით ან გარტმუცემის მიხედვით ასრულდა ვითომისას, რაც თხზულებას ჰკლდა.

ხშირად მწიგნობარი, რომელისამეგ ქველის ნაწარმოებით მოხიბლული, დაინტერესდებოდა ხოლმე იმ ამბებითაც, რომელნიც უნდა მომხდარიყვენ ავტორისგან აწერილის ამბების შემდეგ. ამიტომ იღებდა იგი კალამს და თავის ფანტაზიის დახმარებით თხზავდა ამ ამბებს და ურთავდა სხვის ნაწარმოებს.

ამას გარდა ხშირად მწიგნობრები ნებას აძლევდენ თავიანთ თავს სხვის თხზულების ხელთნაწერის არშიებზე ან თავსა და ბოლოში თავიანთ შენიშვნა მიეწერათ, ან პირდაპირ თავიანთ ნაწარმოები მოეთავსებინათ. შემდეგში ამ ხელთნაწერის გადამწერნი არშიებზე მწერილებს შეგ ტექსტში მოაქცევდენ ხოლმე, ხოლო თავსა და ბოლოში დართულს სხვის ნაწარმოებს იმნაირად მოათავსებდენ, თითქოს იმავე ავტორისანი ყოფილყვენ, ვისაც ეკუთნოდა დანარჩენი თხზულება.

ბოლოს იყო ხოლმე იმისთვის შემთხვევაც, როდესაც რომელიმე მწიგნობარი თავის ნათხზავს ურთავდა სხვის ნაწერს ავტორის სახელით, შეიძლება სრულებით გულუბრყვილო განძრანვით, გადაეცა მკითხველებისთვის ის ცნობები, რომელნიც კეშმარიტებად მიაჩნდა.

ამანირად ქველად ლიტერატურული ნაწარმოები იმისთვის ცვლილებას განიცდიდა, როგორსაც სახალხო ზეპირი ნაწარმოები, რომელშიაც ცველა შემდეგის დროის მოლექსეს და მოამბეს შექმნდა თავისი წვლილი, რის გამოც იგი ისე იცვლებოდა, რომ ახლა ძალიან ძნელია აღდგნილ იქნას მისი პირველი სახე.

ასეთი შედარწნა სწევოდა ჩვენს „ვეფხის-ტყაოსნასაც“, რომელიც ხელთნაწერი ვრცელდებოდა მეორამეტე საუკუნის და საწყისმდე. იმის გამოსარკვევად, თუ

რა ჩამატებია ან დართვია მას და ორსა გვენად პირველების მის სახისა საჭიროა ამ ნაშთის ყოველმხრივი შესწავლა და გარჩევა. სამწუხაროდ, დიდი ხანი არ არის, რაც ამ საქმეს შეუდგნენ მკვლევარნი. კრიტიკული განხილვა „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტისა იმ მხრით, თუ რომელი აღვილები არიან ყალბნი და ამ ეკუთნიან აეტორს, სკალა პირველად ბ-ნმა იღ. სარაჯიშვილმა, რომელმაც ყალბებად აღიარა კარგა დიდი რიცხვი ტექსტებისა. მისი ნამუშევარი დღევანდლამდე მოლიანიდ იარავის შეუმოწმებია და მისი ნათქვამი თითქმის უკანასკნელი სიტყვა კრიტიკისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რაც წინასიტყვაობის და ბოლოსიტყვაობის შესახებ სარაჯიშვილის შემდეგ გამოვთქვით ჯვრ ჩვენ და შემდეგ აკადემიკოსება მარმა.

II

ახლა ჩვენი განძრანება არის, განვიხილოთ „ვეფხის-ტყაოსნი“, როგორც ის წარმოვებილება ხელთნაწერებში, შედგენილობის მხრით და გამოვარკვით, თუ რა არის პირველები მისი სხეული და რა მიმატებია ან დართვია მას საუკუნეების გამავლობაში.

სულ ქველი რიცხვდასმული ხელთნაწერი, რომელიც დღემდე ცნობილია, არის 1646 წ. გადაწერილი, ამას გარდა არიან კიდევ ხელთნაწერები მეტიცმეტე საუკუნისავე, გადაწერილი 1671, 1681 და 1688 წლებში. ამათვან 1646, 1671 და 1681 წ. ხელ-ნაწერები ეკუთნიან სისტორიით და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, 1688 წლისა ქ. შ. წერა-კოთვის გამარტივებელს საზოგადოების წიგნთა საკრავს. ამ რიცხვდასმულობრივ ხელთნაწერთ გარდა მოიპოვება კიდევ რავდენიმე რიცხვ-

დაუსმელი ხელთნაწერი მეჩვიდმეტისავე საუკუნისა როგორც საისტორიო და საეთნოგრაფიო. საზოგადოებაში (№ 461), ისე წერა-კითხის გამავრც. საზოგადოების წიგნთსაცავში (№№ 4499 და 5006). იმ ხელთნაწერებისა და ვახტანგ მეფის გამოცემის შესწავლაზე იქნება დამყარებული ჩვენი დღევანდელი გამოკვლევა.

რადგანაც ვახტანგის შესახებ ამ უკანასკელს ხანში გამოითქვა აზრი, კითომ იგი რკვეს დამახინჯებული და შემოკლებული და ამიტომ მას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე მეჩვიდმეტი საუკუნის ხელთნაწერებს, საჭიროდ ვთვლიო შეტერდეთ მის განხილვაზედ ცოტაოდენს ხანს, რომ ცხად ვყოთ მისი ლირება და მნიშვნელობა.

იბადება ორი კითხვა: 1) როგორი უნდა ყოფილიყო ის დედანი, რომელიც ვახტანგ მეფემ დაბეჭდინა თავის სტამბაში 1712 წ. და 2) შეიტანა თუ არა მან რამე შესწორება და ცეკვილება დედანთან შედარებით თავის გამოცემაში. პირველს კითხვაზე შეუძლებელია ორის პასუხის მიცემა. ყოველს ეჭვს გარეშე, რომ დედანი, რომლის დაბეჭდაც ვახტანგმა მონდომა, იქნებოდა საუკეთესო მის დროში. რა საფიქრებელია, რომ ქვეყნის გამგეს, პევინს, განათლებულს და ქართულის მწერლობის ღრმად მცოდნე მეფეს, რომელიც ამასთა ყველაფერს საუკეთესო და მცოდნე პირთა დახმარებით აკეთებდა თავის გამოცემის დედნად მრავალთ ხელთნაწერთაგან აერჩიოს წარკუპნილი ან ნაკლინი ხელთნაწერი. პირიქით, უკეთელია მხოლოდ ის, რომ მის გამოცემის დედანი იქნებოდა ის ხელთნაწერი, რომელიც უნდა მიჩნეული ყოფილიყო ვახტანგისა და მის თანამოღვაწე მცოდნე პირთაგან საუკეთესოდ. მეორე

კითხვაზე შეგვიძლიან გადაჭრილი უსახური პასუხი მივცეთ. არსაიდგანა ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს— გამოცელოს ან მიემატებინოს. სხვა ხელთნაწერებთან შედარება ამ გამოცემისა გვარშმუნებს, რომ შესწორებული არაფერია მაში, არ არის არც რამე დამატებული, ხოლო რაიცა შეეხება დაკლებას, არც ეგ არის კუუაზე მოსასვლელი, თუმცა ცნობილია, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებში „ვეფხის ტყაოსანი“ შეიცავს იმისთვის დამატებას. რაიცა ვახტანგის გამოცემაში არ არის. ვახტანგს არამც თუ ნება არ მიუცია თავისთვის რამე შესწორებინა ან გამოცელო, არამედ რაღაც საღამუნოებრივის მოწილებით. მოკიდებია დედანს და ისიც კი არ შესწორებია და არ გამოუტოვებია, რაც მას იცორის აზრად არ მიაჩნდა. ვახტანგს, რომელსაც „ვეფხის-ტყაოსანი“ ორიგინალს თხულებად მიაჩნდა, შეეძლო ერთის კალმის ჩამოსმით მოესპო ამ აზრის წინამდებარებით ტაეპი „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვითისა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულიდ ნათარგმანები...“, მაგრამ ეს არ უქნია და ცდილა სხვანარად გაემარტა იგი. ცნობილია აგრეთვე, რომ ვახტანგი „ვეფხის-ტყაოსანს“ სოვლიდა ზეციურის გრძნობების და აზრების გამოხატველად და იმიტომ იძულებული შეიწნა მისტიკურად აქესნა ის აღილები, საღაც ამქვეყნიური კაცური გრძნობებია გამოხატული. განა ვახტანგს არ შეეძლო ეს აღილები სხვანარად გადაეკეთებინა ან სრულებით გამოეტოვა, თუ კი ნებას მისცემდა. თავის თავს შეხებოდა თავის კალმით ძეველს ნაშთს? ცხადია, შეეძლო ეს ექნა, მაგრამ არ უქნია იმიტომ, რომ

იმას წესად არ დაუდვია „ვეფხის-ტყაოსნის“ შეცვლა ან შესწორება. მით უფრო დაუჯერებელია და უცნაურია ის აზრი, რომ იმას თავის დედნითგან გამოეტოვებინის თითქვის ერთი მესამედი მთელის თხზულებისა. შემოკლება კი არ იქნებოდა მისთვის სასურველი და სასახლო, არამედ გადილება და გავრცელება იმისთანა თხზულებისა, რომლითაც ის თავს იდებდა და მაყობდა როგორც ქართველი. ვერავითარის სტამბის დაბრკოლება მას ვერ აძლევებდა თხზულების ერთის მესამედის დაუჭერდველობას. მით უფრო რომ არავითარი ისეთი დაბრკოლება არ არის საგულებელი. პირიქით, საფიქრებელი ის არის, რომ ვახტანგი, თავის დედანში რომ ნაკლი აღმოჩენა, სხვა დედნითგან შეავსებდა ნაკლს და ისე დაგეჭვდავდა სრულს თხზულებას. ამნაირად თუ რამე აკლია ვახტანგის გამოცემას მეტვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტი რამ არ იყო ვახტანგის დედანში და მის აზრით არც შეადგნდა „ვეფხის-ტყაოსნის“ ნაწილს. სხვანაირად რომ ყოფილიყო საქმე, ბოლოშს მაინც მოითხოვდა მკითხველთა წინაშე და აუწევებდა მათ, თუ რამ აძლელა შეემოკლებინა და დაემახინჯებინა სასიქადულო თხზულება.

რომ ვახტანგის დედნისთანა ხელთნაწერები მეტვიდმეტე საუკუნეში სხვებიც ყოფილია, ამისი დამამტკიცებელი საბუთი ჩვენ მოგვეპოვება. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნსაცავის ხელთნაწერი № 5006, რომელიც ყოველის ნიშნებით მეტვიდმეტე საუკუნისაა და ვახტანგის გამოცემის ტექსტისგან თავითგან ბოლომდე განსხვავებულის ტექსტის მქონებელია, როგორც ეტყობა, გადაწერილია იმნაირის შედგე-

ნილობის დედნითგან, როგორისც ფილა ვახტანგის დედანი, ისე რომ ბოლოში, რაც ამ დედანს ჰქონდება სხვა ხელთნაწერებთან შედარებით, სხვა შედგენილობის დედნითგან გადაუწერიათ. იმ ტაეპისთვის, რომელიც წ. ქ. საზოგადოების გამოცემაში 1554-ე, გადამწერს მიუყოლებია 1555-ე ტაეპი, ამ ტაეპისა დაუწერია სტრიქონ-ნახევარი და უცებ ნახევარს სიტყვაზე გაჩერებულა. შეუწყვეტია რა ეს ტაეპი, გადამწერს დაუწყვია და განუგრძება წერა იმ ტაეპებისა, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში არ მოიპოვებიან და შეადგნენ მეტვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებში 1554 ტაეპის შემდეგ მოთავსებულს დამატებას. ის გარემოება, რომ ხელთნაწერი ამ ადგილს შეშლილია, გვეუბნება შემდეგს. ამ ხელთნაწერში „ვეფხის-ტყაოსნის“ გადაწერა დაუწყვიათ იმნაირის შედგენილობის დედნითგან, როგორისაც ყოფილა ვახტანგის გამოცემის დედანი, იმ პირობით, რომ როცა გადამწერი ჩაიდოლა იმ ადგილამდე, საცა სხვა ხელთნაწერებში მეტი სწერია, უნდა მას პირველი დედანი მიეტოვებინა და გადაწერა განეგრძოს სხვა დედნითგან, რომელშიც დამატება ყოფილა. გადამწერს გადავიწეპია ეს პირობა და პირველის დედნითგან გაუგვია გადაწერა იმ ადგილის შემდეგაც, საცა უნდა შეჩერებულიყო. მოპონებია მხოლოდ მაშინ, როცა სტრიქონ-ნახევარი დაუწერია კიდეც, მაშინვე შეჩერებულა და გამოცემის დედანი. რით იმსნება ის ამბავი რომ ვახტანგ მეფეს აურჩევია ისეთი დედანი და არა სხვანაირი, საცა უფრო მეტი ამბები ეწერა. ეს იმით იმსნება, რომ ვახტანგს უნდა ჰქონდა უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ სხვა ხელთნაწერებში მოთავსებული მეტი ამბები ყალბები იყვნენ

და არ ეკუთნოდენ „ვეფხის-ტყაოსანს“. ამის გამო ჩვენ ვატანგის გამოცემის დედანი მიგვაჩნია უძველესად თავის შედგენილობით.

ეს უძველესი ვრიანტი „ვეფხის ტყაოსანისა“ შესდგება სამის ნაშილისაგან: 1) წინასიტყვაობისაგან, 2) ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბისაგან და 3) ბოლოსიტყვაობისაგან. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი არის მთლიანი და დასრულებული რომანი, რომელშიაც მოთხორობილია, თუ რანაირად შეიყვარეს ერთმნეთი ტარიელმა და ნესტან-დარეჯანმა, რა დაბრკოლება პჰოვეს მათ ერთმანერთთან შეულლებაში და რანაირად დასძლიერ მათ ეს დაბრკოლებანი. რომანის დასაწყისითგან ბოლომდე ინტერესი ტრიალებს ამ ორის პირის გარშემო. სხვა პირნი—როსტევნ მეფე, თინათინი, ავთანდილი, ფრიდონი, ასმათი და სხვანი, გამოყვანილნი არიან რომანში მხოლოდ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბის მოსათხრობად. რომანი იწყება როსტევნ არაბთა მეფის ამბით და თავდება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაბრუნებით ინდოეთში ერთმანერთის პოვნის შემდეგ. ეს რომანი არის ის, რასაც პქვიან „ვეფხის-ტყაოსანი“ და რაც საესტებით დაცულია ვახტანგის დედანში. მხოლოდ ამ სამძღვრებში მოთა ეს ცეკვა „ვეფხის-ტყაოსანი“ უნდა ჩაითვალოს მის ნამდევილს

სხეულად. თქმა არ უნდა, რომ ამ ხელში დღვერებშიაც თბზულებას აქვს განცდილი ბევრნარი ცვლილება: სიტყვების ცვლა, ტექსტის შესწორება, ახალის ტაქტების ჩამატება, ალაგ-ოლაგ ძველების დაკლება და სხვ. მაგრამ მთლიანად კი წარმოადგენს სრულს სხეულს პირვანდელის „ვეფხის ტყაოსანისა“. ამ პირვანდელს სხეულს ვატანგის გამოცემის დენისას, ისე როგორც სხვა ხელონაწერებს, დართული აქვს ხორცმეტად წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა, რომელთა შესახებ ქვევით გვექნება ლაბარაკი. ახლა კი განვაგრძობთ იმის კვლევას, თუ რა დამატებია „ვეფხის-ტყაოსანი“ პირვანდელს სხეულს იმ სახით, როგორიც მას აქვს ვახტანგის გამცემაში.

III

ვახტანგის გამოცემის უკანასკნელის თავის ბოლო ში მოთხორობილია ამბავი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაბრუნებისა არაბეთითოგან ინდოეთს და მათ გახელმწიფებისა ამ ქვეყანაში. ამბის მოთხორიბაში შეიმჩნევა ერთი რომანისთვის უმნიშვნელო, მაგრამ უცნაური ნაკლი. ტარიელი თავის ცოლით, მეგობრებით და ღილის ჯარით არაბეთითგან გაემგზავრება ინდოეთს. მათი მგზავრობა აწერილია ის (იხ. 1554 ტ. წ.-კ. გ. საზოგ. გამოცემაში):

სამთავე გლეხ,—დმერთმან მათებრ სხვა ნერა ნუ დაძღვის!—
მოგებნას; მტერთა გერავინ დაიქადოს!—
მინდონის შინა სადიღად გარდახდეს უდიღადოს;
ვითა მართებდათ, პურადდეს, დვინთას სმევდეს, არ დოსა.

ამის შემდეგ ნათქვამია (იხ. იქვე 1555—1558 ტ.)

ტარიელს და ცოლის შინას მიხედა მათი საწადელი,
შვიდი ტახტი სახელმწიფო საშეგძლი, გაუცდელი.

მათ ჰატიუთა დაავიწევეს დახინი ასე აწინდედა.

ეთლა დახინთა გერ აძმებს კაცი, ჭირთა გარდებდედა.

თვით თრიავე ერთგან მსხდომი ჩახეთ, შეუერა ვერა სჯობდეს,

პუქსა ჰქერეს და მეფედ დასვეს, ქასია ხმასა დაატებდედეს;

შისცეს კლატე საჭურჭლეთა, თვათა მათთა მიანდობდეს.

„ესეათ მეფე ჩვენი!“ იზახდეს და ამას ხმობდეს.

აფასნილ და ფრიდონისთვის თრია ტახტი დამზადებს,

ზედა დასხედეს სემწიფურად, დიდებაზი უდიადნეს.

—ღმერთმნ სხვანა ხორციელი მათებრნიდა რა დაბადენეს! —

ამობდიან ჭირთა მათთა, უელაკასა გაუცხადნეს.

სმა, შურობა, გახარტია ქნეს, ჯალაბა გაადიდეს,

ვითარიცა ქოწნიბობა ხაშს, ეგეთია გარდიხილედეს.

მათ თოხთავე თავის-თავის ძეგენია სწორად მართმიდეს..

გლახათათვის საბოძერა საჭურჭლესა ერთგან ჰქონდეს. *)

როგორც ვხედავთ, აქ ერთის სიტყვი-
თაც არ არის მოხსენებული, დაბრკოლება
რამე ნახეს ტარიელმა და მისმა ამხანა-
გებმა თუ არავითარი ინდოეთში შესვლის
დროს, რა მდგომარეობაში იყო მაშინ
ინდოეთი, ცოცხლები იყვენ თუ მევდრე-
ბი ნესტან-დარეჯანის მამა და დედა, ვინ
მეფობდა ინდოეთში, თუ ფარსადან მეფე
აღარ იყო ცოცხალი. უეჭველია, „ვეფხის-
ტყაოსნში“ იქნებოდა პასუხი ყველა ამ
კითხებისა, მაგრამ დროთა გამავლობაში
დაკარგული სწორედ ის ფურცელი ან
ფურცლები, საცა ეს ამბავი წერებულია,
და ასე დანაკლულებული თხზულება გა-
დასცემია შემდეგს საუკუნების. ამ ნაკლს
უეჭველია ამჩნევდენ ჩვენი ძევლი მწიგ-
ნობრები და თქმა არ უნდა სწუხდენ მის-
თვის. ბოლოს გაჩენილი ერთი მწიგნობა-
რი, რომელსაც თავის მოვალეობად ჩაუთვ-
ლია ნაკლის შევსება და კიდევაც შეუვ-
სია იგი. ამ მწიგნობარს აულია კალამი
და თავის საკუთარის ფანტაზიას დახმარე-
ბით ან, შეიძლება, ლიტერატურულის
გაღმოცემის მიხედვით, შეუთხზავს მთელი
გვიზოდი, მომთხრობელი იმისა, თუ რა-

ნაირად დაბრუნდენ ტარიელი და ნესტან-
დარეჯან და დაიჭირეს ტახტი. ეს ეპი-
ზოდი, შემდგარი 40-ზე მეტის ტავბისა-
გან, მართლაც, ავსებს ნაკლს. ინდოეთს
რომ მიუახლოვდებიან ტარიელ და მის
თანამხლებლები, გაიგებენ, რომ ფარსადან
მეფე მომკვდარა და მის სამეფოს, რომ-
ლის გამგედაც გამხდარა დედა ნესტან-
დარეჯანისა, შესევიან ხატაველები. იმის
შემტყობი ტარიელი თავის მეფობრებით
და ჯარით გაშურება და შეებება ხატა-
ველებს. ხატაველები დამარცხებიან და
განიდევნებიან. ინდოეთის დელფინი,
ნესტან-დარეჯანის დედა, დიდის სიხარუ-
ლით მიეგებება თავის ქალსა და სიძეს
და დაულოცავს მათ სამეფო ტახტს, რი-
თაც „ტარიელი“ და ცოდსა მისია მიხვდა
მათი საწადევლი“.

ვახტანგ მეფე, რომელიც; უეჭველია,
კარგად ხედავდა თავის დედნის ჩვენგან
აღნიშვნულს ნაკლს, იცნობდა სხვა ხერით-
ნაწერებსაც, საცა ეს ნაკლი იყო შესე-
ბული, მაგრამ მან დაიცვა თავის გამო-
*) ტავსტი აქ ისე მოგვყავს, როგორც ახტან-
გის გამოცემაშია.

ცემაში თვეისი დედანი, რადგანაც, რომ გორუ ზევითაც ვთქვით, იკოდა, რომ სხვა ხელონაწერებში ნაკლის შესახსებლად მოთავსებული ეპიზოდი, არ იყო „ვეფხის-ტყაოსნის“ ივტორის ნაწარმოები. თქმა იმისი, თუ როდის არის შეთხული ეს ჩართული ეპიზოდი, გადაჭრით არ შეგვიძლიან ჯერ-ჯერობით. იგი მოიპოვება 1646 წლის ხელონაწერშიცაც. შესაძლებელია, იგი დაწერილი იყვეს მეთხუთმეტე მეთექვსმეტე საუკუნეში.

IV.

როგორც ვთქვით, „ვეფხის-ტყაოსნი“, როგორც რომანი, თავდება ნესტან-დარეჯანის და ტარიელის შეუღლებით და თავიანთ სამშობლოში დაბრუნებით. შემდეგის დროის მწიგნობრები, გატაცებულნი „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებით, ძალიან დაინტერესდენ ამ გმირების ამბით მათ ინდოეთში დაბრუნების შემდეგ. იმათ ებადებოდათ კითხვა, თუ რა პასუხს გასცემდა ხეირაზშა ინდოეთში გამეფებულს მის შვილის მკელელს ტარიელს, რანაირი ურთიერთობა ექნებოდათ შემდეგში მადფიცის მეგობრებს ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს, რანაირი იქნებოდა მათი სიუკულე და რანაირად დაიხოცებოდენ. ამ კითხვებზე პასუხი მისცა ერთმა მწიგნობარმა, რომელმაც დაწერა 150 ტაუ-პამდე და დაწვრილებით მოვითხრო, თუ რანაირად გახდა ავად ტარიელი, რანაირად ისარგებლა ამით ხეირაზშამ და შეესია ინდოეთს, რანაირად მოიწვია ტარიელმა თვის ძმად-ფიცები ავთანდილ და ტარიელ საშველად, რანაირად მიკიდენისინი ტარიელთან და ტაუმარცხეს მტერი, რანაირად ბერინიერად იცხოვდა შემდეგში და რანაირად დაიხოცენ ტარიელ და ავთანდილ მეუღლებითურთ. ამ ეპი-

ზოდის შემთხველი არ მაღავს არავალის და მის დაწერის ისტორიასც გვიამბობს თავშიც და ბოლოშიც. თავში ამბობს:

აწ, გონიერნო, სიტუაცია მისმინეთ, შე-იწყნარენით, ძველი ნარჩომი ამბავი დექსად ვთქვენ, გაი-სარენით, სარგის დაურჩა უთქმედად, ჩვენ ეს დაფიროს დენით, დექსი მიქენით ამისთვის, ენანი მომახმარენით. ბოლოში ამბობს:

ეს ამბავი დარჩომდა სარგის დექსთა შე-იწყობდად, აკრევ თორგვე თმოგველთაგან შესავალითურთ დარჩა თბლედ. ეს სიტუაცია მოახსენეს, ვინ ჩნდეს გმირთა რაზმთა შეწოდებად, მიბრძნა თუ დექსად თქვით, მშევრუქართუ-ლად, დაუშრობდად.

ამ სიტუაციითგან ცხადია, რომ ვიღაც სარგის *) დარჩენია გაულექსავი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი ინდოეთში დაბრუნების შემდეგ. ეს უცნობებიათ ერთის პირისთვის, რომელიც გმირების რაზმთა მწყობელი ყოფილა, და მას უბრძანებდა მწიგნობრისთვის, ეს ამბავი კარგს ლექსად თქვით. მასც აულია და გაულექსია. ამნაირად ეპიზოდის შემთხველი საკმაოდ გადაჭრით გვატყობინებს, რომ ეს ეპიზოდი გალექსულია

*) ვინ უნდა იყვეს ეს სარგის, რომელსაც დარჩენია გაულექსავი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთს დაბრუნების შემდეგ მომხდარი ამბები? ის უნდა იყვეს ან თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი, ან ის, ვინც „ვეფხის-ტყაოსნის“ ჩაუმარც 40-მეც ტავი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნების და გაბელმწიფულების აღწერილობით. ამაზეც დაწვრილებით კვლავ გვექნება მსჯელობა.

სხვა პირისაგან და არა „კუთხის ტყაოსნის“ ავტორისაგან. უკანასკნელის თქმული რომ ყოფილიყო, გაუგებარი იქნებოდა, თუ რაღა ამ ეპიზოდის თავსა და ბოლოვაში მოხსენია თავისი ლექტლი. პირიქით, სწორედ ის გარემოება, რომ ამ ეპიზოდის თავსა და ბოლოვაში იხსენიებს მოლექს თავის ლექტლს, ამტკიცებს, რომ ეს ეპიზოდი არ მოსდევდა თავდაპირველს „კუთხის-ტყაოსნის“ და რომ ამ ეპიზოდის ავტორი სხვაა და პირვანდელის „კუთხის-ტყაოსნის“ ავტორი სხვა. ეს დამატებითი ამბავი სრულად და შეურჩეველად მოთავსებულია 1646 წლის ხელთაწერში.

ამ ამბის მოთხოვნით მწიგნობრმა და აქმაყოფილა მეითხველის სურვილი, გაეგო თუ რანაირად დასრულდა სიცოცხლე ტარიელ-ნეტარ-დარეჯანისა და ავთანდილ-თინათინისა. მაგრამ მას დაავიწყდა, რომ ტარიელს და ავთანდილს ჰყავდათ ერთი მეგობარი, სახელიად ფრიდონი, რომლის შესახებ ცნობა ისეთივე საინტერესო უნდა ყოფილიყო, როგორც ტარიელის და ავთანდილის შესახებ. ამ ცნობის მიწვდენა განიძრახა და კიდეც შეისრულა ეს განძრახვა ერთმა მწიგნობარმა, რომელმაც 10-ს ტავეში მოგვითხრო, თუ როგორ წამოვიდა ფრიდონი თავის მეგობრების სატიროად, როგორ მოიტირა ისინი და რანაირად შინ დაბრუნებული დარდით გადაიცავალი. ეს დამატებაც მოთავსებულია 1646 წ. ხელთაწერში. ამნაირად ეს ხელთაწერი წარმოგვიდგენს „კუთხის-ტყაოსნის“ რომანს. იმ საბოთ, როგორისაც ვახტანგის გამოცემის დედანი ყოფილი, მხოლოდ ერთის ჩამატებულის ეპიზოდის და არის ერთი ერთმანერთზე მიმყოლის დამატების დართვით. ამის გამო ეს ხელთაწერი შედგე-

ნილობით არის ვახტანგის გამოცემის დაწესებულის მიმდევნო.

V

„კუთხის-ტყაოსნის“ სამის გმირის — ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის სიკვდილის მოთხოვნით მაინც უნდა დაკმაყოფილებულიყო მეითხველთა ცნტერესი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წინანდელს მწიგნობრებს დარჩენოდათ ერთი ფრიად საინტერესო რამ. ეს იყო დიდებულის გმირების ანდერძი. დიდებულები სიცოცხლეში, უკეველია, დიდებულს ჩასმე უანდერძებრენ ჩამომავლობას და ის გაჩნდენ მწიგნობრები, რომელთაც დაწყეს ანდერძების თხზვა. ანდერძის დაწერის პირველი ცდა ყოფილა გაუბედავი, რადგან თავდაპირველად როგორც ტარიელისა, ისე ავთანდილის ანდერძი სულ რავდენისამე ტაპისაგან ყოფილიან შემდგარნი, რაიცა ჩანს 1688 წლის ხელთაწერითვან, რომელშიც ტარიელის ანდერძი ათ-ტავპიანია, ხოლო ავთანდილისა ხუთ-ტავპიანია. ამ როის ანდერძის დაწერს თვითეულის გმირის ანდერძის ჩაურთავს პირველის დამატების იმ ტავების წინ, რომლებშიაც აწერილი იყო მათი სიკვდილი, რისხევისაც ცალ ცალკე მოუყრია თავი თვითეულის გმირის სიკვდილის მოთხოვნის ტავებისთვის.

გმირების ანდერძები იტყობა ძალიან მოსწონებიათ როგორც მეითხველებს, ისე მწიგნობრებს, რაიცა ჩანს იქითვან, რომ, ჯერ ერთი, პირველად დაწერილი ორი მოკლე ანდერძი მასე გაუტრცელებიათ ტავების ჩამატებით, როგორც ეს ჩანს 1681 წ. ხელთაწერითვან, მერე შეუთხავთ კიდევ ერთი ახალი ანდერძი ავთანდილისა, როგორც ეს ჩანს 1671 წ. ხელთაწერითვან; ამის უკან შეუთხავთ კიდევ

ერთი ახალი ანდერძი ტარიელისა, რომელიც ჩანს ხელთნაწერში № 5006 და ბოლოს კიდევ ერთი ახალი ტარიელისავე, რომელიც ჩანს ხელთნაწერში № 4499. ამნაირად შედგენილობის მიხედვით 1646 წ. ხელთნაწერის მიმდევნოდ უნდა მიღებულ იქნას 1688 წლის ხელთნაწერი, ამის მიმდევნოდ 1681 წლის ხელთნაწერი, ამის მიმდევნოდ 1671 წლის ხელთნაწერი (*), ამის მიმდევნოდ ხელთნაწერი № 5006 და ამის მიმდევნოდ ხელთნაწერი № 4499.

VI

წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა „ვეფხის-ტყაოსნისა“ არაფერს საერთოს არ წარმოადგენს თვით თხზულებასთან. ამას გარდა ცალ-ცალკეც არც წინასიტყვაობა არც ბოლოსიტყვაობა არაფერს მთლიანს და ერთის აზრის შემცველს არ წარმოადგენს. ესენი წარმოადგენენ კრებულს სხვა და სხვა შინაარსის ტაეპებისა, რომელნიც ერთმანერთთანაც ისევე დაუკავშირებელნი არიან, როგორც ყველა ისინი ერთად თვით რომანთან. ეს ტაეპები რომ განვიხილოთ, ჩვენ წარმოგვიდგება შემდეგი. წინასიტყვაობაში ტაეპების უტეტესობა ორს ჯგუფად შეიძლება დაყორთ: 1) ტაეპები, რომლებიც შეიცავენ მიჯნურობის გამარტებას, და 2) ტაეპები, რომელნიც შეიცავენ მელექსეობის ღირსების და მნიშვნელობის ახსნას. ეჭვი არ არის, რომ ეს ორი ჯგუფი ტაეპებისა

დაწერილია თვით „ვეფხის-ტყაოსნისა“ გამო ან მის გავლენით. ამ რომანის მეოთხეველი იხიბლებოდა ერთის მხრით მაში გამოყვანილის მიჯნურების თვისების და საკუიელის აწერილობით, მეორე მხრით ლექსის სილამაზით და სიძლიერით. ამიტომ „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირების მიჯნურობა სიდევალოდ შეიქნა, ხოლო მის ლექსები სამაგალითოდ მელექსეითვის. ერთმა მწიგნობარმა ყველა თვისი აზრები მიჯნურობის შესახებ, შეოთხისტულნი, ან უკეთ ვთქვათ, გამოკრებილნი „ვეფხის-ტყაოსნითვან“, გამოთქვა ლექსად და თვისი ნათქვამი დაუროო თავში თვით „ვეფხის-ტყაოსნის“. მეორე მწიგნობარმა, პირველის მიბაძვით, გამოთქვა ლექსად თვისი აზრები მელექსეობის შესახებ, აგრეთვე „ვეფხის-ტყაოსნის“ მხხედვით შემუშავებულნი, და დაუროო თავში ამავე თხზულებას, მიჯნურობის შესახებ დაწერილის ტაეპების შემდეგ. ამნაირად გაჩენილან წინასიტყვაობის ის ტაეპები, რომელნიც წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემაში აღნიშნულნი არიან მათ რიგის მიხედვით ციფრებით: 8—14 და 19—25. პირველი ჯგუფი შეეხება მიჯნურობას, მეორე ჯგუფი შელექსეობას. შემდეგში მესამე მწიგნობარს ბოლოში მიუმატებია კიდევ ხუთი ტაეპი მიჯნურობის შესახებ (27—31). რასაკირველია, ძელია იმის თქმა, რომ თვითული ამ სამზ ჯგუფთაგანი ტაეპებისა თითო მწიგნობრის დაწერილნი იყვნენ. ჩვენ უფრო გვგონია, რომ ამ ჯგუფებში შემდეგის ღრიას მწიგნობრებსაც უნდა ჰქონდეთ ჩართული თითო-ოროლა ტაეპი. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ წინასიტყვაობა თავდაპირველად ტაეპების ორის ჯგუფისან შესდგებოდა და შემდეგ მიმატებია მესამეც. მას უკან ამ სამის ჯგუფის ტაე-

*) გასაკვირველი არ არის, რომ გვიან გადაწერილი (მაგ. 1688 წ.) ხელთნაწერი შედგენილობით უტრო აღრინდელი იყვენ, ვიდრე ადრე გადაწერილი (მაგ. 1671 წ.). ამისი მიზეზი ის არის, რომ დედანი პირველისა უტრო ძველი ყოფილა, ვიდრე მეორისა.

ჰებისთვის სხვა და სხვა დროს დაუმატებიათ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 15, 16, 17, 18 და 26 ტაქტი. ეს ტაქტებიც რავდენსამე ჯგუფად იყოფება. 3, 4, 5, 15, 16, 17 და 26 ტაქტი შეიცავენ იმ აზრს ვითომ „ვეფხის-ტყაოსნი“ იყვეს ქართულად ნათარგმანები სპარსული ამბავი, დაწერილი ლექსად თამარ მეფისა და მის მეუღლის დავითის საქებრად რუსთაველის მიერ, რომელსაც უბრძანეს ასეთი შექება და რომელსაც თითონაც ჰყავარებია თამარი. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მწიგნობრის მოგონილი არ არის. იგი წარმოადგენდა ლიტერატურულს გარდმოცემას და მწიგნობარმაც მის დასაცავად აღწერა იგი ისე, თითქო „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწერი მოუთხრობდეს იმას თავის პირით. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ტაქტები არ უნდა ეკუთნოდენ ერთის მწიგნობრის კალამს და არც ერთს დროს უნდა იყვნენ დაწერილიყვენ 3, 4, და 5 ტაქტი, ხოლო მათ შემდეგ 15, 16, 17 და 26 ტაქტი. 6, 7 ტაქტში მოხსენებულია „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირი ტარიელ, ცხადია იმ აზრით, რომ მის დამწერს და ჩამრთველს მწიგნობარს, გაკვარევებულს სრულის უკაშორბით წინასიტყვაობისა რომანთან, ასეთი კავშირი დამყარებინა. ეს ორი ტაქტი შეთხულია განძრას ავტორის სახელით მოსასპობად იმ უცნაურობისა, რომ წინასიტყვაობაში ერთი სიტყვაც არ შეეხბოდა თვით თხზულებას. 18-ე ტაქტი ჩართულია წინასიტყვაობაში ვილაც მოცლილი მწიგნობრის მიერ ყოვლად უაზროდ, შეიძლება, პავლე მოცკეულის გავლენითაც *), ხოლო 1 და 2

*) შეადარე ამ ტაქტის მესამე სტრიქონი პავლე მოცკეულის კორინთელთა მიმართ პირველის ეპისტოლის ოცდამეტვიდე მუხლს.

ტაქტი დაწერილია იმისთანა მწიგნობარი თაგან, რომელიც გაიმსქვალებიან ხოლმე რელიგიურის გრძნობით, როდესაც დაინახავენ რასმე დიდებულს და საოცარს, ან შეუდგებიან რამე სამძმო საქმეს. პირველი ტაქტი მწიგნობარმა შეთხა და დაურთო „ვეფხის ტყაოსნის“, როგორც დიდებულს და საოცარს თხზულებას. მეორე ტაქტი ჩაურთვია შემდეგში სხვა მწიგნობარს „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორის მაგიერ, რომელიც, მის აზრით, საჭიროებდა ლევის შემწეობას ამისთანა დიდებულის და მნელის თხზულების შეასქნელად. ბოლოსიტყვაობის ხუთის ტაქტითგან სამი ტაქტი წარმოადგენს მწიგნობრების მინაწერებს და შეიცავენ მათ პირადს აზრს, გრძნობას ან ცნობას. მაგ. 1572 ტაქტი არის მწიგნობარ-გადამწერის შენიშვნა, ლექსად გამოთქმული მოელის თხზულების გადაწერის შემდეგ. 1575 ტ. გამოსახვამს მწიგნობრის აზრს, გამოტანილს „ვეფხის-ტყაოსნის“ კითხვითგან, სოფლის მიუნდობლობაზე. 1576 ტ. ბიბლიოგრაფიული შენიშვნაა იმისთანა მწიგნობრისა, რომელსაც ნდომებია თავის ცნობის გადაცემა სხვებისთვის. 1573 და 1574 ტაქტი შეიცავენ იმანირსაც ლიტერატურულს გაღმოცემას, როგორიც გამოხატულია წინასიტყვაობის 3, 4, 5 და 16 ტაქტებში, მწიგნობრისგან დართულს ბოლოში ავტორის სახელით.

VII

„ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა იმ სახით, როგორიც მათ აქვთ ვახტანგის გამოცემის დედანში, შედგნილობით არიან უძველესნი და აღმეტდილნი არიან იმ თვისებთ, რომელიც მათ შეეფერებათ წარმომდინარების მიხედვით. მათი თვისება არის უსისტემობა

და ერთიანის აზრის უქონლობა. შემდეგ ში მწიგონბრებმა მოინდომეს სისტემის შეტანა და აზრიანობის მიცემა. ამიტომ, ჯერ ერთი, იხმარეს ის საშუალება, რომელიც წინადაც იყო ნახმარი, ე. ი. შესწორება და დამატება ახალის ტაქტებისა, მეორედ, დაწყეს დალაგება ტაქტისა სხვანაირდდ გამოტოვება ზოგიერთებისა, რომელნიც არ შეეფერებოდენ, მათ აზრით, სინამდვილეს. 1646 წ. ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 8 ტაქტი და ერთი ჩამატებულია, ტაქტები ასე არიან დალაგებულნი: 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 8. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. 14. 30. 31. 1688 წ. ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 6 ტაქტი და 3 ჩამატებულია, ტაქტები დალაგებულნი არიან ასე: მეტი. 1. 15. 16. 17. 18(?) მეტი. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 8. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. 14. 30. 31. 1688 წ. ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 6 ტაქტი და 3 ჩამატებულია, ტაქტები დალაგებულნი არიან ასე: მეტი. 1. 15. 16. 17. 18(?) მეტი. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 8. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. 14. 30. 31. 1688 წ. ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 6 ტაქტი და 3 ჩამატებულია, ტაქტები დალაგებულნი არიან ასე: მეტი. 1. 2. 3. 4. მეტი. 19. 20. 21. მეტი. 22. 23. მეტი. 24. მეტი. 25. 26. 27. 28. 29. 8. მეტი. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. 14. 30. 31. 1671 წლის ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 7 ტაქტი და 8 ჩამატებულია, ტაქტები დალაგებულნი არიან ასე: მეტი. 1. 2. 3. 4. მეტი. 19. 20. 21. მეტი. 22. 23. მეტი. 24. მეტი. 25. 26. 27. 28. 29. 8. მეტი. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. 14. 30. 31. 1671 წლის ხელთნაწერში, რომელშიც მოთავსებულია კველა ტაქტი ვახტანგის გამოცემისა და ჩამატებულია 9, ტაქტები ამ რიგზე მისდევენ: მეტი. 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. მეტი. 15. 16. 17. 18. მეტი. 19. 20. 21. მეტი. 22. 23. მეტი. 24. მეტი. 25. 26. 27. 28. 29. 8. მეტი. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. მეტი. 14. 30. 31. ხელთნაწერში № 5006 ტაქტები და-

ლაგებულია ისევე, როგორც ვახტანგის გამოცემაში, მხოლოდ ჩამატებულია ორი ახალი. ხელთნაწერში № 4499, რომელშიც წინასიტყვაობისა გადარჩენილია მხოლოდ ერთი ფურცელი, გადარჩენილი ტაქტები დალაგებულია ამ რიგზე: 28. 29. 8. 9. 10. მეტი. 23. 20. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელთნაწერში № 461, რომელშიც წინასიტყვაობის ფურცლები დახეულია, გადარჩენილი ტაქტები ამ რიგზე მისდევენ ერთმანერთს: 7. 5. მეტი. ა. 2. ²⁾ 11. 28. 9. მეტი. 10. 12. 13. მეტი. 30. 17. 18. მეტი. 19. 20. 21. 22. 23. მეტი. 24. 25. 1576. როგორც ვხედავთ ამ ხელთნაწერში წინასიტყვაობის ბოლო ტაქტად მოქცეულია ვახტანგის გამოცემის ბოლოსიტყვაობის უკანასკნელი ტაქტი.

აგრედვე მეტნაკლებია და არეულად დალაგებული ბოლოსიტყვაობა სხვა და სხვა ხელთნაწერში. 1646 წ. ხელთნაწერში ბოლოსიტყვაობა შესდგება 6 ტაქტისაგან, რომელნიც დალაგებულნი არიან ასე: 1572. 1573. მეტი. 1574. 1575. 1576. 1688 წლის ხელთნაწერში სულ ორ არის 1572-ე ტაქტი, ხოლო 1573-ე და მეტი ტაქტი მოთავსებულნი არიან იქ, სადაც თავდებოდა პირველი დამატება, ვიდრე მას მთაშორებლენ ბოლო ნაწილს. ამ ხელთნაწერში ბოლოსიტყვაობის აღვილს არიან შემდეგი ტაქტები: 1575. 1574. მეტი. მეტი. 1681 წლის ხელთნაწერში, ისე როგორც ხელთნაწერში № 5006, ტაქტები ასეა დალაგებული: 1572, 1573. მეტი: 1574. 1575. 1576. 1671 წლის ხელთნაწერში ამ ტაქტებს

¹⁾ მე-18 ტაქტს კითხვის ნიშანს კუსვამთ, რადგან მისი ადგილი მოხეულია.

²⁾ ა-ით და ზ-ით არიან აღნიშნულნი ის ტაქტები, რომელნიც მოხეულია არიან მთლად.

აღლოში მოსდექს კიდევ სხვა ახალი ტა-
ქები.

მწიგნობრების ცდა, რომ წინასიტყვაო-
ბის და ბოლოსიტყვაობის ტაქები ისე
დაელიგებინათ და გაეცხრილათ, რომ
აზრიანი კავშირი დამყარებულიყო მათ
შორის, ვერ გამოდგა ნაყოფირი. რად-
განაც ტაქები სხვა და სხვა დროს და
მწიგნობრების შეთხულნი იყვნენ, მათი
დალაგება ან გაწმენდა იმნაირად, რომ
ყველანი კვაყოულნი ყოფილიყვნენ, შე-
უძლებელი შეიქნა. ყოველი მწიგნობარი
თავის გემოს და აზრის მიხედვით აღა-
გებდა, აკლებდა და უმატებდა ტაქებს.

ასევე უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს
ცდა აკადემიკოსის მარისა, რომელმაც
უკანასკნელად სკადა ტაქების გამოკლე-
ბით, ტექსტის შესწორებით და სხვანაი-
რად დალაგებით მეტი სისტემა და აზრია-
ნობა მიეცა „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასი-
ტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის ტაქე-
ბისთვის. წინასიტყვაობის 31 ტაქებითგან
ბ-ნმა მარმა ყალბად სკნო 9 ტაქები, ერ-
თი ჩაუმატა ახალი და ამ რიგზე დაალაგა:
1. 3. 25. 26. 4. 5. 17. მეტი. ¹⁾ 16. 6.
7. 18. 9. 12. 8. 10. 11. 19. 20. 21.
22. 23. 24. აგრელვე მოეპყრო ბ-ნი
მარი ბოლოსიტყვაობასაც. ხუთის ტაქ-
პითგან ყალბად აღიარა და გამოტოვა
სამი, სახელდობრ: 1574. 1575. 1576,
ხოლო ნამდვილად სკნო და დატოვა-
ორი—1572. 1573. ვერავითარი გადალიგ-
გადმოლაგება ტაქებისა, ვერავითარი გა-
მოტოვება ძველებისა და ჩამატება ახლე-
ბისა, ვერავითარი ტექსტის შესწორება

ვერ გახდის „ვეფხის-ტყაოსნის“ აზროვნებუ-
რიდ დართულს წინასიტყვაობას და ბო-
ლოსიტყვაობას ვერც მის ორგანიულ
ნაწილად და ვერც რამე საერთო აზრის
შემცველად.

VIII

ჩემი დასკვნა:

1) „ვეფხის-ტყაოსნის“ პირვანდელი
სხეული შენახულია ვახტანგის გამოცემა-
ში ანუ, უკეთ ვოქვათ, მის დედანში. ეს
პირვანდელი სხეული იწყება როსტევან
მეფის ამბით და თავდება ტარიელისა და
ნესტან-დარეჯანის გახლმწიფებით ინ-
დოეთში.

2) ამ პირვანდელს სხეულს დართვია
თავში წინასიტყვაობა და ბოლოში ბო-
ლოსიტყვაობა, შედგენილნი ნაწილ-ნაწი-
ლად სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა
პირთაგან.

3) „ვეფხის-ტყაოსნის“ პირვანდელს
სხეულს იმ სახით როგორიც მას აქვს
ვახტანგის გამოცემაში (ანუ დედანში)
განცდილი აქვს ბევრნაირი ცვლილება,
მაგალითად: სიტყვების შეცვლა, ტექსტის
შესწორება და შერყვნა, ტაქების ჩამატება
და გამოკლება.

4) ტაქების გამოკლებას ერთს აღიილს,
სახელდობრ იქ, სადაც მოთხრობილია
ტარიელის და ნესტან-დარეჯანის გამგზავ-
რება ინდოეთს, მიუცია ერთის მწიგნო-
ბრისთვის საბაბი ჩამატებინა პირვანდელს
სხეულში 40-ამდე ტაქები იმ გარემოებათა
აღწერილობით, რომელიც, მის აზრით,
უნდა ყოფილიყვნენ მოთხრობილნი და-
კლებულს ტაქებში, სახელდობრ ამბავი
ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაბ-
რუნებისა ინდოეთს, ხატაველების გან-
დევნისა იქიდგან და ტარიელის ქვეყანა-
ში გამეფებისა.

¹⁾ ბ-ნმა მარმა მხოლოდ შერტილებით აღნიშ-
ნა აღიილი იმ ტაქებისა, რომელიც მის აზრით
ჰყლებია, შეთხვეთ კი არ შეუთხავს თვით
ტაქები.

5) ამ ჩამატების შემდეგ მეორე მწიგნობარს დაურთავს „ვეფხის-ტყაოსნის“ პირვანდლის სხეულისათვის აღწერილობა იმ ამბებისა, რომელნიც ვითომ უნდა მომხდარიყვნენ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში გახელმწიფების შემდეგ მათ სიკვდილიმდე. აქვეა მოთხოვნილი თინათინის და ავთანდილის სიკვდილი.

6) ამ დამატების შემდეგ მესამე მწიგნობარს შეუთხზავს და დაუმატებია ამბავი ფრიდონისგან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის (აგრეთვე თინათინის და ავთანდილის) დატირებისა და მის სიკვდილისა.

7) მეოთხე მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიკვდილის მოთხოვნის წინ ანდერძი ტარიელისა და აგრეთვე ავთანდილის

და თინათინის სიკვდილის მოთხოვნის მინი ანდერძი ავთანდილისა.

8) მეხუთე მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია კიდევ ერთი ანდერძი ავთანდილისა (მეორე).

9) მეექვეს მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია კიდევ ერთი ანდერძი ტარიელისა (მეორე).

10) მეშვიდე მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია კიდევ ერთი ანდერძი ტარიელისა (მესამე).

11) თვითეული ამ დამატებათაგანი ისევე როგორც პირვანდლი სხეული „ვეფხის-ტყაოსნისა“ მუდამ გინიცდიდენ შესწორებას, ჩამატებას და გამოკლებას დროთა გამავლობაში.

დ. კარიჭაშვილი.

21/IV 1913.

FS 5609
1